პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 12 (5821)
18
1977 წ.
იანვარი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შესახებ

17 იანვარს თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების აქტივი, 1976 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები, რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებების, მსხვილი სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეები და ნოვატორები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ **პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი**, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. გ. მამედ-ზადე**, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. მ. ვოსკანიანი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ნ. მ. ტიშჩენკო**.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ**.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

მოხსენება „რესპუბლიკის მშრომელთა 1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებანი და იმ წერილიდან გამომდინარე ამოცანები, რომლითაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. ა. პატარიძემ**. (საქინფორმი).

სასურველი სტუმარ-მასპინძლობა

საბჭოთა მოჭადრაკეები ბევრი საერთაშორისო ტურნირის სასურველი მონაწილენი არიან. მათ სათამაშოდ იწვევენ სხვადასხვა ქვეყნის შეჯიბრებათა ორგანიზატორები.

მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი და სსრ კავშირის 44-ე ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, დიდოსტატი ი. ბალაშოვი, მიწვეული არიან ლონგ-პაინის (აშშ) ვაჟთა ტრადიციულ ტურნირზე. ეს შეჯიბრება, რომელიც მარტში გაიმართება, შვეიცარიული სისტემით ტარდება. სხვათა შორის, შარშან ამ ტურნირში ითამაშა და I ადგილი დაიკავა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა.

მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი მარტში გაემგზავრება გფრ-ში, სადაც დიდ საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. დიდოსტატი რ. ვაგანიანი მიწვეულია ესპანეთის ქალაქ ოლოტის საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც შარშანწინ საბჭოთა მოჭადრაკეებიდან თამაშობდნენ დიდოსტატები ა. გიპსლისი და ნ. გაფრინდაშვილი.

ამჟამად ჰოლანდიაში ნ. ალექსანდრიასთან ერთად ვეიკ-ან-ზეეს ფესტივალში გამოდიან დიდოსტატი ე. გელერი და ოსტატი ვ. კუპრეიჩიკი.

ბევრი გამოჩენილი უცხოელი მოჭადრაკე საბჭოთა კავშირში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას.

ორმხრივი გამოცდა

„მფრინავ მოთხილამურეთა“ საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე

სურათზე: ალექსი ბოროვიტინი — ბაკურიანის ორივე ტრამპლინის გმირი, 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე წლევანდელ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ბაკურიანის ორ ტრამპლინზე 15-16 იანვარს გაიმართა, მონაწილეობა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ნორვეგიის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ორმოცდათერთმეტმა „მფრინავმა მოთხილამურემ“.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ესწრებოდა ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას და გადმოგვცა რეპორტაჟი, რომელსაც დღეს ვთავაზობთ მკითხველებს.

* * *

„მფრინავ მოთხილამურეთა“ საერთაშორისო შეჯიბრების პირველი დღე, 15 იანვარი. ბაკურიანის 70-მეტრიანი ტრამპლინისკენ დილიდანვე დაიძრნენ მაყურებლები, შეჯიბრების ორგანიზატორები... ასპარეზობის მთავარ მსაჯს **კობა წაქაძეს** ერთი წუთით „ვატყვევებ“.

● **ვინ გაიმარჯვებს დღეს?**

— რომელიმე საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდიდან, — ლაკონიურად მიპასუხებს კობა და სწრაფი ნაბიჯით მიემართება სამსაჯო კოშკურისკენ.

— ნამდვილად ასე იქნება, — კვერს უკრავენ მთავარ მსაჯს ჩემი კოლეგები, — სხვა ქვეყნებმა ხომ ძირითადად ახალგაზრდა სპორტსმენები ჩამოიყვანეს.

მართლაც, შეჯიბრების მონაწილეთა სიაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა უმრავლესობის ასაკი 20-21 წელია, ხოლო გდრ-ის ყველაზე ახალგაზრდა „მფრინავი მოთხილამურე“ მანფრედ დეკერტი სულ 15 წლისაა.

...მთავრდება საცდელი ხტომების სერია, ყველაფერი მზადაა პირველი ჩასათვლელი ცდის წინ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ო. **ჩერქეზია** საერთაშორისო შეჯიბრებას გახსნილად აცხადებს...

...სამსაჯო კოშკურა. აქედან ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს, დათოვლილი ბაკურიანის ულამაზესი პანორამა, სპორტული ბაზები. მაყურებლებით დახუნძლული ბექობები, საათში 115 კილომეტრის სისწრაფით, შხუილით მფრინავი სპორტსმენები. კაბინებში ხალხმრავლობაა — მსაჯები, გუნდების წარმომადგენლები, სპეციალისტები, ჟურნალისტები...

და უცებ მათ შორის ვამჩნევ საკმაოდ მსუბუქად ჩაცმულ კაცს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ბამიდან ჩამოტანილ ფოტოსურათებზე თუ მინახავს. ეს საქბამშენის უფროსი ანზორ დვალიშვილია. ძვირფასი ბამელი სტუმრები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით, ბაკურიანსაც სწვევიან.

— ნია-გრუზინსკაიაში, — გვეუბნება ანზორი, — ძალიან გვიყვარს ფიზკულტურა და სპორტი. გულმა არ მომითმინა და, რადგან შესაძლებლობა მქონდა, ამ დიდ შეჯიბრებასაც მინდა დავესწრო.

აქვე შევთანხმდით, რომ ანზორ დვალიშვილი „ლელოს“ კორესპონდენტი იქნება ბამზე და იქაურ სპორტულ ბატალიებზე ხშირად მოგვაწვდის ცხელ-ცხელ ამბებს...

...გამართლდა კობა წაქაძის პროგნოზი — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა ალექსი ბოროვიტინმა სძლია ყველას და 257,6 ქულით (ნახტომები: 87,0 და 87,5 მ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზიც მოიპოვა. II ადგილი წილად ხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს იურგენ თომასს (ქულათა ჯამი 234,9; ნახტომები: 81,5 და 83,5). მესამე პრიზიორიც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია — იური კალინინი (ქულათა ჯამი — 232,6; ნახტომები — 81,5 და 80,5). ექვსეულში შევიდა ორი საბჭოთა სპორტსმენი — ი. ივანოვი (IV ადგილი) და ს. საიჩიკი, ერთიც გდრ-ის მოთხილამურე დ. კამპფი (V ადგილი).

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მევლუდ და მიხეილ ბაკაევები, სიმონ ხაჩატურიანი საკმაოდ სუსტად გამოვიდნენ და მესამე-მეოთხე ათეულში აღმოჩნდნენ (აქვე დავძენთ, რომ მათ არც 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებით გაუხარებიათ მაყურებელი).

საღამოს ვესაუბრები ჩეხოსლოვაკიის გუნდის მწვრთნელს **დალიბორ მოტეილეკს**.

— შესანიშნავია თქვენი ბაკურიანი, აქ საუცხოო ბუნებრივი პირობებია იმისთვის, რომ ზამთრის სპორტის უკლებლივ ყველა სახეობაში გაიმართოს დიდი შეჯიბრებები, — გვეუბნება იგი. — ბაკურიანს უპირატესობა აქვს თვით გრენობლსა და ინსბრუკთან, რადგან ყველა ტრასა და ტრამპლინები აქ კომპაქტურად არის თავმოყრილი.

მწვრთნელი კმაყოფილია აღსაზრდელების გამოსვლით — მისმა ორმა ახალგაზრდა მოწაფემ ხომ მეშვიდე და მერვე ადგილები დაიკავა 70-მეტრიან ტრამპლინზე...

(დასასრული მე-8 გვ.).

ტელეტაიპის ლენტიდან

კრივი. ლენინგრადში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ რუმინელი, ფინელი და ჩეხოსლოვაკიელი სტუმრებიც. ფინალში მხოლოდ საბჭოთა მოკრივეები გამოდიოდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ბოდნიამ (ლვოვი), ვ. ეროხინმა (მოსკოვი), ვ. ზასიპკომ (დონეცკი), ვ. შელეხოვმა (ლენინგრადი), ქ. ამიანმა (კიროვაკანი), ვ. ლაპტევმა (ჩებოქსარი), სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა ვ. ბოდნიამ (რიგა), ს. აბრამიანმა (ხაბაროვსკი), ნ. არუთინიანმა (ეჩმიაძინი), ი. ნოვიკოვმა (სარატოვი), ვ. ალექსეევმა (ტაშკენტი).

ბურთიანი ჰოკეი. ვესტეროსში სსრ კავშირის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი წააგო შვეციის ჰოკეისტებთან — 1:3.

ფრენბურთი. მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდმა საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით მატჩში, დაამარცხა „რუდა გვეზდა“ (პრაღა) ანგარიშით 3:0. საბჭოთა სპორტსმენები საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლას განაგრძობენ.

• • •

ცსკა-ს (სსრ კავშირი) ფრენბურთელმა ვაჟებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მატჩში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ჰოლანდის კლუბი „სტარლიფტი“ და ფინალში გავიდნენ. პირველი შეხვედრაც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს ამავე ანგარიშით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასჯერ გავზომოთ...

არის თუ არა საჭირო მწვრთნელთა სკოლა?

- ვინ ირჩევს იოლ გზას?
- სად მოვამზადოთ ტურიზმის ინსტრუქტორები, მწვრთნელები სპორტის ტექნიკურ სახეობებში, მასაჟისტები და საერთოდ მწვრთნელები?
- ძველი შეხედულება ისტორიას ჩაჰბარდა.
- ფიზკულტურის ტექნიკუმი, ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება, კვალიფიკაციის ამაღლების თუ დახელოვნების კურსები?

ამ ბოლო ხანს სპორტული პრესის ფურცლებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მწვრთნელთა პრობლემას. ეს პრობლემა მრავალწახნაგოვანია, მაგრამ უმთავრესი, ჩვენი აზრით, მაინც კადრების მომზადება გახლავთ. ჩვენც სწორედ ამ თემაზე გვინდოდა აგვეგო საუბარი, როცა მწვრთნელთა სკოლას ვეწვიეთ. მაგრამ, როგორც გამოირკვა, დღეს ამ სასწავლებლის მესვეურებს ასეთ პრობლემებზე სასაუბროდ არა სცხელათ. სკოლა გასაჭირშია და შველას მოითხოვს.

მაინც რა გასაჭირი დასდგომია ასეთი ჩვენს მწვრთნელთა სკოლას, რომ წლების მანძილზე ვერა გვიშველია რა და ძალზე ხშირად გვესმის ხმები სასწავლებლის გაუქმებაზე? (სკოლა ჯერ კიდევ შარშან უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ საქმეში რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ჩარევამ იხსნა).

რაკი საქმე საზოგადოებრიობის სამსჯავრომდე მივიდა, საკითხი ჯერ ასე დავსვათ: საერთოდ არის თუ არა საჭირო მწვრთნელთა სკოლა?

რა თქმა უნდა, საჭიროაო, იტყვიან ერთნი და საბუთად მწვრთნელთა კადრების უკმარობას, ფიზკულტურისა და სპორტის სწრაფ წინსვლას, მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანას მოიტანენ. როგორც ხედავთ, მართალნიც იქნებიან. მეორენი მოითხოვენ, რომ მწვრთნელთა სკოლა ფიზკულტურის ტექნიკუმად გადაკეთდეს. ზოგიერთის აზრით, საჭიროა შევინარჩუნოთ სკოლა, როგორც იურიდიული ერთეული, ოღონდ მის ბაზაზე ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გადმოვიტანოთ. სხვებს სხვა მოსაზრება აქვთ და ყოველ ვარაუდში მოიძებნება რაციონალური მარცვალი.

შევეცადოთ გზადაგზა გავაანალიზოთ და გავცეთ პასუხი ზოგიერთ მოსაზრებას.

ამთავითვე ხაზგასმით ალბათ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ მწვრთნელთა სკოლა დღეს ის სკოლა აღარ გახლავთ, „რვაკლასდამთავრებულებს რომ იღებდა და სრული საშუალო განათლებით ისტუმრებდა“. ასეთი იყო წლების მანძილზე სპეციალისტების ერთ ნაწილში დამკვიდრებული აზრი. მაგრამ ეს წინათ იყო. ახლა ამ სკოლაში მხოლოდ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ თანრიგოსან სპორტსმენებს იღებენ და კონკურსიც დიდია. რაც მთავარია, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც თვით კადრების მომზადების პროცესმაც განიცადა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი პროგრესი.

იქნებ კადრებს სამუშაოთი ვერ უზრუნველვყოფთ, ანდა ისინი თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას? უწინდელზე რა მოგახსენოთ, მაგრამ სკოლაში ნანახი ახალი საბუთებიდან კი ერთი მეტად საყურადღებო დასკვნა გამოვიტანეთ: ახალგაზრდა მწვრთნელები უყოყმანოდ მიდიან სამუშაოდ იქ, სადაც მათ აღმზრდელი კოლექტივი გზავნის. უმეტესობას კი მშობლიური სოფლებიდან თუ რაიონებიდან მოაქვს მოთხოვნა სამუშაოდ მიწვევის შესახებ.

ახლა კონკრეტული ფაქტებიც მოვიშველიოთ. 1976 წელს სკოლამ 113 მწვრთნელი მოამზადა. ყველა მათგანი განაწილებით გაიგზავნა სამუშაოდ. აქედან ამჟამად ქალაქში მუშაობს 64, სოფლად — 45, დანარჩენი კი სავალდებულო სამხედრო სამსახურშია გაწვეული. აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო ხანს დამკვიდრებული პრაქტიკით, სამუშაოდ ახალგაზრდა მწვრთნელთა განაწილებისთვის ზრუნვა, მათი სკოლაში მიღების დღიდანვე იწყება. ბევრი კურსდამთავრებული შემდეგშიც არ წყვეტს აღმზრდელებთან კავშირს. მათ მოსაზრებებსა თუ შენიშვნებს პედაგოგები მომავალ კადრებთან მუშაობისას ითვალისწინებენ.

მწვრთნელთა სკოლის გაუქმების ან მისი ფირნიშის შეცვლის მომხრენი საბუთად იმასაც იშველიებენ, საბჭოთა კავშირში ასეთი სკოლა მხოლოდ თბილისში დარჩა და ზემდგომ ორგანოებს უძნელდებათ მისთვის როგორც პროგრამების შემუშავება, ისე საერთო ხელმძღვანელობის გაწევაო. არა გვგონია, ეს მტკიცება დამაჯერებელი იყოს. თუკი დავადგენთ, რომ მწვრთნელთა სკოლას ჯერ კიდევ არ მოუჭამია თავისი დრო, რომ ჯერ კიდევ ადრეა იგი ისტორიას ჩავაბაროთ, ხელმძღვანელობის საკითხის მოგვარებისთვის ათასი საშუალება არსებობს. მაშ რატომ უნდა ავირჩიოთ ყველაზე იოლი გზა, რომლის უაზრობაც შეიძლება ყველაზე მწვავედ მაშინ ვიგრძნოთ, როცა უკვე გვიან იქნება? ბავშვთა და მოზარდთა პირველი სპორტული სკოლა ხომ ჩვენს რესპუბლიკაში გაიხსნა, პირველი სპორტული სკოლა-ინტერნატიც ჩვენ გვეკუთვნის. ხომ ვახერხებდით მათთვის პროგრამების შედგენას ან მათს ხელმძღვანელობას? სწორედ ამიტომ არ მიგვაჩნია აუცილებლად მწვრთნელთა სკოლის გაუქმება. მაშასადამე, ჩვენ სულ სხვა გზა, კერძოდ **მისი შემდგომი სრულყოფისა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, სასწავლო-სპორტული ბაზის გაფართოება-განმტკიცების გზა უნდა ვეძიოთ.**

ფიზკულტურის ტექნიკუმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლის მწვრთნელთა სკოლას, ვერ შეასრულებს მის ფუნქციას. ტექნიკუმს მაინც პედაგოგიური სასწავლებლის დანიშნულება აქვს. ფიზკულტურის მასწავლებლებს კი ფიზკულტურის ინსტიტუტიც ამზადებს და რესპუბლიკის თითქმის ყველა უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელიც. დღეს ამ სკოლაში ფეხბურთის განყოფილების II კურსზე სწავლობენ წარსულში ცნობილი სპორტსმენები, ამჟამად მწვრთნელები — თ. მელაშვილი, ნ. ლეჟავა, ს. თორაძე, დ. ხუნდაძე, შ. კაკაბაძე, კ. ხურციძე, თ. ჭანჭალეიშვილი, III კურსზე არიან: ბ. სიჭინავა, ა. ხელაძე, ი. მჭედლიშვილი, კ. ანდღულაძე... სხვადასხვა დროს ყველა მათგანს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, ოღონდ არა ფიზკულტურული. შემდეგ, რაკი შრომის ასპარეზად სპორტი აირჩიეს, სპეციალური განათლების მიღებაც გადაწყვიტეს.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მწვრთნელთა სკოლა გაუქმდა. რამდენ ყოფილ სპორტსმენს წავართმევთ ამით მწვრთნელად მუშაობის შესაძლებლობას? რაც მთავარია, დავკარგავთ უკვე დიდი გამოცდილებისა და უნარის მქონე მწვრთნელებსაც, რადგან საკავშირო სპორტკომიტეტის ბრძანებით, ახლა მწვრთნელად მუშაობა ეკრძალება ყველას, ვისაც სპეციალური ფიზკულტურული განათლება არა აქვს.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებული მწვრთნელები სამუშაოსგან მოუწყვეტლივ სწავლობენ. პრაქტიკოს მწვრთნელთა ერთ ჯგუფში თავმოყრა სასარგებლო იმითაც არის, რომ ისინი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, საუბრობენ სპორტული წვრთნის თანამედროვე მეთოდებზე, სხვა აქტუალურ საკითხებზე, ერთი სიტყვით, ერთმანეთისგანაც სწავლობენ. თუ საქმე სწავლის ხარისხზე მიდგება, დასკვნის გამოსატანად ალბათ ის ფაქტიც კმარა, რომ ხსენებულ ჯგუფში ათი მასწავლებელი შედის და მათგან შვიდი მეცნიერებათა კანდიდატია. ეს ჯგუფი კი გამონაკლისი არ გახლავთ.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენი მწვრთნელთა სკოლა ახლა მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთია. ამიტომაც მოძმე რესპუბლიკებიდან თითქმის ყოველდღე უამრავი წერილი მოდის ამ სასწავლებელში. ყველას ერთი სათხოვარი აქვს: სკოლაში ჩარიცხვაში დაგვეხმარეთო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენში თითქმის არავინ ამზადებს კვალიფიციურ მწვრთნელებს სპორტის ტექნიკურ სახეობებში, ტურიზმის ინსტრუქტორებსა და მასაჟისტებს, ცხადი გახდება, რომ მწვრთნელთა სკოლა აუცილებელია. ჩვენი აზრით, აუცილებელია **მისი პროფილის გაფართოებაც, რეორგანიზაცია თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით.**

აქვე უნდა ვთქვათ, რომ სკოლას აქვს გაფართოების შესაძლებლობა. მაგალითად, ამ მიზნისთვის შეიძლება გამოვიყენოთ სპორტის მუზეუმი, რომელიც ექსპონატთა სიმრავლის გამო უკვე საწყობადაა გადაქცეული და კარგა ხანია საჭიროებს შესაფერის დარბაზს. ასეთი რეზერვია, აგრეთვე, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის სათავსები. თუ ეს საკითხები დადებითად გადაწყდა, მწვრთნელთა სკოლა ამთავითვე ნაწილობრივ მაინც გაფართოვდება. მაშინ მისი უნიკალური სასწავლო აპარატურა უქმად აღარ გაცდება და ცოდნის გაღრმავებაში დიდ სამსახურს გაუწევს მომავალ სპეციალისტებს. მწვრთნელთა სკოლას შეფებიც ღირსეული უნდა მივუჩინოთ. ყველაფერს მოვლა და პატრონობა სჭირდება. იოლი გზა კი, ვიმეორებთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავირჩიოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს მომავალი არ გვაპატიებს, ისევე როგორც არ გვაპატია ფეხბურთელთა 35-ე სკოლის გაუქმება. შეიძლება დღეს მწვრთნელთა სკოლა მთლიანად ვერ უპასუხებდეს დებულების მოთხოვნებს, მაგრამ **დავფიქრდეთ, იქნებ თვით დებულება ჩამორჩება დროის მოთხოვნებს?** გულდასმით ანალიზს საჭიროებს, აგრეთვე, ახალგაზრდა მწვრთნელთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის ანდა სამუშაოს მიტოვების ზოგიერთი ფაქტი.

ნუ ვიქნებით უმადურნი, ნუ ავჩქარდებით, **ასჯერ გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ.** თუ ვინმე მაინც იტყვის, საქმე შედეგით ფასდებაო (ასეთიც ბევრია), მათ ვუპასუხებთ: **მწვრთნელის მოღვაწეობა ის ასპარეზი არ გახლავთ, სადაც დიდება ერთბაშად შეიძლება გეწვიოს.** ყველაფერს დრო სჭირდება, დრო კი, როგორც იტყვიან, მწვრთნელთა სკოლის სასარგებლოდ მუშაობს, რადგან აქ აღზრდილი ახალგაზრდა სპეციალისტები ახლა თავად მუშაობენ დროის სასარგებლოდ. კიდევ ერთი: ამ სასწავლებლის ბედიღბალზე საზოგადოებაში გავრცელებული ხმები შესაძლოა სხვებისთვის „თავშესაქცევი“ თემაც იყოს, მაგრამ, მოდით, სკოლის პედკოლექტივის გულშიც ჩავიხედოთ. ეს დაძაბული ვითარება, უეჭველია, გავლენას ახდენს მათს საქმიანობაზე. პედაგოგის მოღვაწეობა წარმოუდგენელია ხვალინდელ დღეზე ფიქრის გარეშე, ამ სკოლის მუშაკებმა კი არ იციან, რა ბედი ეწევა სასწავლებელს მომავალში.

ჩვენ ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წერილში ზოგიერთი ფაქტი და მოსაზრება შეიძლება სადავო იყოს. რაც დაიწერა, ეს მხოლოდ ავტორისა და სპორტული საზოგადოების ერთი ნაწილის მოსაზრება გახლავთ. ამიტომ კარგი იქნება თუ ცალკეული სპეციალისტები, აგრეთვე, მწვრთნელთა კადრების მომზადება-განაწილებისთვის და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის პასუხისმგებელი მუშაკები თვითონვე მოგვაწვდიან წინადადებებს.

ასჯერ გავზომოთ...

თ. გაჩეჩილაძე.

P. S. ტყისმჭრელებმა მუხა მოჭრეს და პობა დაუწყეს. მუხამ დაიკვნესა: — „ცულზე ისე არა ვჩივი, როგორც ცულის ტარებზე, ჩემივე ტოტებისაგან რომ არიან გამოთლილი და მევე მჩეხავენო!“

ეზოპეს ეს ცნობილი იგავიც შემთხვევით არ გაგვიხსენებია.

თ. გ.



მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ, მაგრამ...

თბილისში „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს კომპლექსური სპორტსკოლა ხუთი წელია არსებობს. ამ ხნის მანძილზე კრივის განყოფილებამ საგრძნობ წარმატებას მიაღწია. მის კედლებში აღზრდილი მოკრივეები — დათო ქავთარაძე, გიორგი ხიზანიშვილი, მურმან თაქთაქიშვილი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ჩაირიცხნენ, ხოლო სპორტის ოსტატ ირაკლი არაბულს უფროსთა ნაკრების შემადგენლობაშიც ხშირად დაუცავს რესპუბლიკის ღირსება.

— ჩვენს სკოლაში მოსწავლეებს 12 წლიდან ღებულობენ, — გვეუბნება ბავშვთა სექციის ვეტერანი მწვრთნელი ვანო ხატიაშვილი. ამისთვის საჭიროა მშობლების ნებართვა და ექიმის ცნობა. გარდა ამისა, აუცილებელია მოსწავლე კარგად სწავლობდეს, აკადემიურად ჩამორჩენილი არ იყოს.

— აქვე არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ სკოლას არა აქვს თანამედროვე სპორტული ინვენტარი. ცხადია, ეს გავლენას ახდენს სპორტსმენთა მომზადებაზე, — გვითხრა ბოლოს ვანო ხატიაშვილმა.

ახლა კი გთავაზობთ ბავშვთა სპეციალიზებულ სპორტსკოლაში წვრთნის დროს გადაღებულ რამდენიმე ფოტოსურათს:

მოკრივეები ხელთათმანებს ირგებენ; ასეთ სავარჯიშო ტომრებს ჩვენი „მამა-პაპანი“ ხმარობდნენ, ახლა კი შვილიშვილებს გადაეცათ „მემკვიდრეობით“; მწვრთნელი ვანო ხატიაშვილი ნიკო მირველაშვილს საბრძოლო დგომას ასწავლის.

ჯ. კასრაძის ტექსტი და ფოტოები.

შეხვედრა თასის მფლობელებთან

საინტერესო ღონისძიება მოაწყო თბილისის ა. ჯაფარიძის ცენტრალური საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკის კოლექტივმა: აქ სტუმრად მიიწვიეს 1976 წლის საკავშირო თასის მფლობელი ფეხბურთში — თბილისის „დინამოს“ გუნდი.

ბიბლიოთეკის დარბაზი ვერ იტევდა სპორტის მოყვარულებს. შეხვედრას წარმართავდა ბიბლიოთეკის საბონემენტო განყოფილების გამგე, რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი ლილი გორდელაძე.

სალამოზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა, რომელმაც ილაპარაკა კოლექტივის მომავალ ამოცანებზე. სიტყვებით გამოვიდნენ, აგრეთვე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე, დინამოელთა კაპიტანი მ. მაჩაიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კ. მახარაძე.

დინამოელმა ფეხბურთელებმა სამახსოვროდ თავიანთი გვარები წააწერეს წიგნზე, რომელიც სამუდამოდ შეინახება ბიბლიოთეკის საპატიო ფონდში.

თ. ძიძავა.

რაიონებში [illegible]

ლაგოდეხი

აქ დამთავრდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 12 სახეობა შედიოდა. საერთო გუნდური პირველობა ვარდისუბნის კოლმეურნეობის გუნდმა მოიპოვა, II ადგილი ხვდათ ლელიანის, III — ლაგოდეხის კოლმეურნეობათა კოლექტივებს.

ფ. კვირიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმხრივი გამოცდა

დასასრული

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი **კარლ ვილჰელმი** აღტაცებას ვერ ფარავს:

— ბაკურიანს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ზამთრის სპორტის განვითარებაში საერთაშორისო მასშტაბით, — ამბობს იგი. აქაური ბუნებრივი პირობები ბევრად სჯობს შვეიცარიის, ავსტრიისა და იტალიის ალპებისას. ამრიგად, ბაკურიანი არა მხოლოდ სპორტსმენთა საერთაშორისო მნიშვნელობის სარბიელი შეიძლება გახდეს, არამედ საერთაშორისო ტურიზმისა და სპორტის განვითარების უმსხვილესი ცენტრიც.

შეკითხვაზე, თუ რით იყო გამოწვეული მათი გუნდის ახალგაზრდული შემადგენლობა, კარლ ვილჰელმმა გვიპასუხა:

— ჩვენს ქვეყანაში მეტად სათუთად ვეკიდებით თაობათა ესტაფეტას — გამოცდილ, მაგრამ უკვე კრიტიკული ასაკის სპორტსმენთა თანდათანობით, უმტკივნეულოდ შეცვლას ახალგაზრდებით. ამ შეჯიბრებაზე ჩვენი მიზანი იყო პერსპექტიული სპორტსმენების გამოცდა, ჩვენ ხომ მათ მომავალი ოლიმპიადის თვალით ვუყურებთ, — გვეუბნება კ. ვილჰელმი, — ავიღოთ თუნდაც მანფრედ დეკერტი, ეს 15 წლის ჭაბუკი. სად უნდა გამოგვეცადა იგი უკეთ, თუ არა ესოდენ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებაში?

* * *

90-მეტრიანი ტრამპლინი ყოველთვის იწვევდა დიდ ინტერესსა და მოწიწებას როგორც სპორტსმენთა, ისე მაყურებელთა შორის. ეს გასაგებიცაა, რადგან სწორედ აქ შეიძლება „მფრინავ მოთხილამურეთა“ ყველაზე გრძელი ნახტომი იხილო, დატკბე იმ განუმეორებელი შეგრძნებით, რომელსაც ჰაერში დიდხანს თავისუფალი ფრენა ჰქვია.

დიდხანსო, ვამბობთ, თუმცა ეს ფრენა სულ ხუთიოდე წამს გრძელდება...

მაგრამ რამდენი შრომა, ვარჯიში, გამბედაობა და, პირდაპირ ვთქვათ, ვაჟკაცობა მართებს სპორტსმენს, რომ უდიდესი სისწრაფით დაეშვას ამ 90-მეტრიანი უფსკრულის გადასალახავად, კოხტად მოხაზოს ტრაექტორია და მსუბუქად დაეშვას 90, 100 მეტრს იქით და უფრო შორსაც...

ამიტომ იზრდება მაყურებელთა ინტერესი და რაოდენობა 16 იანვარს ამ ტრამპლინის ირგვლივ. ყველას საზეიმო განწყობილება აქვს, თუმცა წინაღამით წამოსული თოვლი არ ფიქრობს შეჩერებას...

კვლავ საცდელ ხტომათა სერია, კვლავ პროგნოზები.

— ალბათ ამჯერადაც ბოროვიტინი იმარჯვებს, — ასეთია ერთსულოვანი აზრი. მართლაც ჩვენი ნაკრების ლიდერის ნახტომები ყველაზე შორია და დახვეწილი. ორივე ცდაზე იგი 110,5 მეტრზე ეშვება და კვლავ საკმაო უპირატესობით (ქულათა ჯამი 260,9) იგებს პირველ პრიზს.

70-მეტრიან ტრამპლინზე მეშვიდე, ჩეხოსლოვაკიელი ემილ ბაბიში ამჯერად უკვე მეორეა (ქულათა ჯამი — 238,9; ნახტომები — 106 და 105 მ), საბჭოთა სპორტსმენი იური ივანოვი — მესამე (ქულათა ჯამი—238,5; ნახტომები — 104 და 108,5 მ). საუკეთესოთა ექვსეულში კიდევ სამ საბჭოთა სპორტსმენს ვხედავთ — ვ. ბუბიონოვს, დ. აბრამოვსა და ვ. სავინს. 90-მეტრიან ტრამპლინზე ჩვენი ქვეყნის გუნდის წარმატება უფრო თვალსაჩინოა...

შეჯიბრება მთავრდება. გამგზავრების წინ ჩვეულებრივ ფაციფუცში ძლივს ვახერხებთ რამდენიმე მოკლე ინტერვიუ ავიღოთ.

კობა წაქაძე: შეჯიბრება, ვფიქრობ, სასურველ დონეზე ჩატარდა, საერთოდ, შედეგები არცთუ ურიგო ჩანს. რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის მხტომელებს, მათი უსუსური მაჩვენებლები პირველ რიგში გამოუცდელობით უნდა ავხსნათ — ისინი ხომ ძალზე იშვიათად გამოდიან საერთაშორისო ასპარეზზე...

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი **ბ-ნი ჰანს გასელტი** (შვეიცარია):

— არ შემიძლია ქებით არ მოვიხსენიო თქვენი შესანიშნავი, კოპწია ბაკურიანი, მისი განუმეორებელი მთები, მომაჯადოებელი ბუნება, განსაკუთრებული ჰაერი და სტუმართმოყვარე მასპინძლები. მჯერა, აქ ბევრი დიდი და მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრება გაიმართება მომავალში...

დამთავრდა პირველი დიდი შეჯიბრება, წლევანდელი სპორტული კალენდარი კი ძნელად თუ მისცემს ბაკურიანს სულის მოთქმის საშუალებას. წინაა საკავშირო ტურნირები, საერთაშორისო შეხვედრები, მსოფლიოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ასპარეზობა...

დამთავრდა ბაკურიანის ბატალიები. ვფიქრობთ, რომ ეს მართლაც ორმხრივი გამოცდა იყო — ცალკე სპორტსმენებისა და ცალკე ბაკურიანისა, მისი სპორტული ნაგებობების, საცხოვრებელი ბაზებისა და ასპარეზობის ორგანიზაციის უნარისა. თუმცა მაინც გვგონია, რომ მთავარი გამოცდა წინ არის.

...უკვე ისმის ავტობუსების, მსუბუქი მანქანების მოტორების თუხთუხი, შეჯიბრების მონაწილეები ტოვებენ ბაკურიანს. ყველა ფიქრობს, რომ აქ კვლავ არაერთხელ მოუწევს ჩამოსვლა და ამიტომაც ამბობენ: „ნახვამდის“...

ა. ბარქაია.

ბაკურიანი.

„მფრინავ მოთხილამურეთა“ საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე

სურათებზე: მრავალი ადამიანი, ვისაც იზიდავს სპორტის ეს შესანიშნავი სახეობა — თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა, დილიდანვე გამოემართა „მფრინავ მოთხილამურეთა“ პაექრობის სანახავად; გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე არიან 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესნი — (მარცხნიდან) ემილ ბაბიში (ჩეხოსლოვაკია), ალექსი ბოროვიტინი და იური ივანოვი (ორივე — სსრკ).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

1980 წელს საბჭოთა მთამსვლელები პირველად აწყობენ ექსპედიციას პლანეტის „მესამე პოლუსზე“ — ევერესტის მწვერვალზე, რომელიც 8848 მეტრს სიმაღლეზეა აღმართული. „თუ არ ვცდებით, ეს იქნება საბჭოთა სპორტსმენთა პირველი ასვლა რვაათასიან მწვერვალზე, — სწერენ „პრავდის“ რედაქციას მოსკოველები გალინა და ტატიანა კუზნეცოვები.— ჩვენ გვაინტერესებს უფრო ზუსტი ცნობები, როდის არის დაგეგმილი იერიში — გაზაფხულზე თუ შემოდგომაზე?“

ევერესტის დაპყრობის ისტორიას ბევრი გმირობა და მსხვერპლი ახსოვს.

ამ მწვერვალმა ისეთი ინტერესი გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელთა შორის, რომ ნეპალის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელიც ასვლისთვის „ვიზებს“ იძლევა, მკაცრი განრიგი დააწესა: წელიწადში შეიძლება მოეწყოს მხოლოდ ორი ექსპედიცია — ერთი გაზაფხულზე, მეორე შემოდგომაზე. საბჭოთა სპორტსმენებს მწვერვალის „დაზვერვის“ უფლება 1980 წლისთვის მიეცათ (აპრილი-ივნისი).

„მესამე პოლუსისკენ“

„პრავდის“ კორესპონდენტის თხოვნით ამ წერილზე უპასუხებს სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **მიხეილ ანუფრიკოვი.**

— არ მეგულება მთამსვლელი, რომელსაც სიტყვა „ევერესტი“ გულს განსაკუთრებით არ უძგერებდეს, — ამბობს ანუფრიკოვი. — დედამიწის „მესამე პოლუსი“ ადამიანს არქტიკაზე და ანტარქტიკაზე გვიან დაემორჩილა. ევერესტი ყველა სპორტსმენის ოცნებაა. პირველი მთამსვლელი, რომელიც 8000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე ავიდა (1922 წ.), დ. მელორი იყო. მას ჰკითხეს: „რატომ მიდიხართ ევერესტზე საიერიშოდ, როცა ნამდვილად იცით, რომ გამარჯვებისთვის სიცოცხლე უნდა გაიღოთ?“ პასუხი ასეთი იყო: „მივდივარ, რადგან ევერესტი არსებობს“.

საბჭოთა მთამსვლელებს, რომლებმაც სახელი გაითქვეს პამირისა და ტიანშანის მთებში სასიმაღლო ასვლებით, ჯერ ერთხელაც არ მიუღიათ მონაწილეობა რვაათასიანთა იერიშში. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი მწვერვალი — კომუნიზმის პიკი სიმაღლით 7495 მეტრია. უცხოელი მთამსვლელები, რომელთაც თუნდაც ერთხელ უნახავთ საბჭოთა სპორტსმენები ასვლების დროს, აღტაცებული არიან მათი ფიზიკური მომზადებით, კლდეზე ცოცვის ტექნიკით, საიმედო ტაქტიკური სტილით. საკმარისია გავიხსენოთ ერთი მაგალითი: საფრანგეთის ალპებში რამდენი საუკუნეა დგას გრან ჟერასი, მაგრამ ძალიან დიდხანს მსოფლიოს ვერც ერთმა მთამსვლელმა ვერ დაიპყრო იგი ჩრდილოეთის კედლის ურთულესი მარშრუტით. 1967 წელს მ. ხერგიანმა და ვ. ონიშჩენკომ ეს მარშრუტი ცამეტ საათში გადალახეს.

მას შემდეგ აგერ უკვე ათი წელია ვერავინ გაიმეორა ასვლა, რომელსაც „რუსული ვარიანტი“ უწოდეს.

მართალია, ევერესტზე უკვე შედგა ფეხი 58 მამაცმა სპორტსმენმა — სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა, მაგრამ დღემდე არსებობს ამ მწვერვალის შტურმის ისეთი რთული ვარიანტები, რომლებიც საერთოდ განუხორციელებლად ითვლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ევერესტზე ექსპედიცია თავისი მნიშვნელობით სცილდება სპორტულ ასვლათა ჩარჩოებს.

ცნობილმა საბჭოთა მთამსვლელმა ვიტალი აბალაკოვმა ერთხელ თქვა: „გული მწყდება, რომ ევერესტზე ვერ ავედით... იქნებ ეს ჩვენმა შვილებმა შეძლონ?“ დიახ, აბალაკოვი, რომელიც დღეს უკვე 70 წლისაა, თვითონ ალბათ ვეღარ დაიპყრობს ევერესტს, მაგრამ იგი მიწვეულია საწვრთნელ შეცადინეობებზე, როგორც გამოცდილი მოსიმაღლე — მწვრთნელი. მასთან ერთად ხელმძღვანელობა დაევალა კირილე კუზმინს. იგი 60 წლისაა, მაგრამ შვიდიათასიანებს ჯერ კიდევ იპყრობს ახალგაზრდა სპორტსმენებთან ერთად. ევერესტის დაპყრობისთვის მზადებაში ჩაებეს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლიდან ანატოლი ოვჩინიკოვიც. მათ დაევალათ შედგენა სსრ კავშირის ნაკრებისა, რომელმაც „მესამე პოლუსის“ შტურმი უნდა განახორციელოს.

ევერესტის მისადგომების პირველი დეტალური დაზვერვა დაგეგმილია 1978 წლის გაზაფხულისთვის. წელიწადს კი საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ჩრდილოეთ ამერიკის მთავარი მწვერვალის მაკკინლის დაპყრობაში. ეს მწვერვალი ალასკის ქედზე 6193 მეტრ სიმაღლეზეა აღმართული.

ა. იუსინი.
„პრავდა“.

რას გვპირდება სპორტული წელი...

საკდესის სპორტული რედაქციის თხოვნით 1977 წლის საერთაშორისო შეჯიბრებათა შესახებ გვესაუბრება სსრ კავშირის სპორტკომიტეტის დაგეგმვის განყოფილების გამგე **ი. ბერეზინი.**

1977 წელს საბჭოთა სპორტსმენები 146 დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას. ეს იქნება მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები, მსოფლიოს და ევროპის თასების გათამაშებანი, სხვა ტრადიციული ტურნირები. წლეულს მსოფლიო ჩემპიონატები ხუთივე კონტინენტზე მოეწყობა. მაგალითად, მოფარიკავეები არგენტინაში იასპარეზებენ, თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატები — ამერიკის შეერთებულ შტატებში. იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობა ტუნისში გაიმართება, უძლიერესი ფიგურისტებისა — იაპონიის დედაქალაქში, საუკეთესო მშვილდოსნები კი ერთი კვირით ავსტრიაში მოიყრიან თავს.

სპორტის მოყვარულთა შორის დიდ ინტერესს გამოიწვევს სტუდენტთა საერთაშორისო საზაფხულო თამაშები— „უნივერსიადა-77“, რომელიც სოფიაში ჩატარდება, აგრეთვე, მეგობრულ არმიათა სპარტაკიადა, რომლის მასპინძელიც კუბა იქნება.

წლეულს საბჭოთა გუნდები მსოფლიოს 94 ქვეყანაში იმოგზაურებენ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან კავშირის განმტკიცებას. შეჯიბრებათა დიდი ნაწილი საბჭოთა სპორტსმენებს სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლებთან ექნებათ. გაფართოვდება კონტაქტები ევროპის, შორეული აღმოსავლეთის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აფრიკისა და ამერიკის სახელმწიფოებთან.

საბჭოთა კავშირში ჩატარდება 90-ზე მეტი საერთაშორისო შეჯიბრება სპორტის 50 სახეობაში. მათგან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ევროპის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ჩემპიონატი (მაისი, ვილნიუსი), წიდოვან ბილიკზე მოტორბოლის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატის კონტინენტური ფინალი (ივლისი, ტოლიატი), ევროპის იუნიორ მძლეოსანთა პირველობა (აგვისტო, დონეცკი), ევროპის თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში (აგვისტო, ლვოვი).

ბევრი ასპარეზობა 1980 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში მოეწყობა. ესაა, მაგალითად, მოსკოვის ტრადიციული რეგატა, მძლეოსანთა შეჯიბრება ძმები ზნამენსკების პრიზებზე, ფიგურისტთა ასპარეზობა გაზეთ „ნუველ დე მოსკუს“ ჯილდოსთვის ლუჟნიკის სპორტის სასახლეში, ჰოკეისტთა შეჯიბრება „იზვესტიის“ პრიზზე.

როგორც მუდამ, უცხოელ სპორტსმენთა დიდ ყურადღებას მიიქცევს ისეთი ტრადიციული შეჯიბრებები, როგორიცაა „ჩრდილოეთის დღესასწაული“, ბალტიის რეგატა, ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოჭადრაკეთა ტურნირი.

დიდოსტატი ქალები

შარშან ფიდე-მ ქალთა კომისიის თაოსნობით (თავმჯდომარე — გამოჩენილი იუგოსლაველი მოჭადრაკე მ. ლაზარევიჩი) შემოიღო საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ქალთა შორის. წოდება მიენიჭებათ იმ მოჭადრაკეებს, რომლებიც ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში ქულათა ორ მესამედს მოაგროვებენ.

ფიდე-ს საკვალიფიკაციო კომისიამ საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა მსოფლიო ჩემპიონს **ნ. გაფრინდაშვილს**, მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს **ლ. რუდენკოს, ე. ბიკოვას, ო. რუბცოვას**, 1970-75 წლების საზონათშორისო ტურნირებში წარმატებებისთვის—**ნ. ალექსანდრიას, ტ. ზატულოვსკაიას, მ. შულ-ლიტინსკაიას, ვ. კოზლოვსკაიას, ნ. კონოპლიოვას, ი. ლევიტინას** (ყველა — სსრ კავშირი), **მ. ლაზარევიჩსა და ა. კუშნირს** (ისრაელი).

1976 წელს თბილისსა და როზენდალში გამართული საზონათშორისო ტურნირების შედეგების მიხედვით საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი შეასრულეს **ე. ფატალიბეკოვამ, ე. ახმილოვსკაიამ, მ. ჩიბურდანიძემ, ა. მიიე-ნიკოლაუმ** (ჰოლანდია) და **ტ. ლემაჩკომ** (ბულგარეთი).

აქვე უნდა შევახსენოთ, რომ სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება, რომლის მისაღებადაც მოჭადრაკეს მეტი წარმატება მოეთხოვება, მხოლოდ ნ. გაფრინდაშვილს აქვს მინიჭებული.

• • •

სურათებზე: მსოფლიო ჩემპიონი, სსრ კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი (მარცხნივ) და მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი ნ. ალექსანდრია.

ჭადრაკი

ფინიში ჰასტინგსში

ჰასტინგსში (ინგლისი) დამთავრდა ტრადიციული საახალწლო, 52-ე საერთაშორისო ტურნირი. დასკვნითს, XV ტურში ო. რომანიშინმა (სსრ კავშირი) დაამარცხა იუგოსლაველი დიდოსტატი მ. დამიანოვიჩი და 11,5 ქულით I ადგილი დაიკავა. რომანიშინმა 2 ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს.

შეჯიბრების მეორე საბჭოთა მონაწილემ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა 8 ქულა მოაგროვა და დიდოსტატ ა. ადორიანთან (უნგრეთი) IV-V ადგილები გაიყო.

ლვოველი დიდოსტატი, 25 წლის ო. რომანიშინი ერთ-ერთი მზარდი და პერსპექტიული მოჭადრაკეა. მას მოპოვებული აქვს სსრ კავშირის 43-ე ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, I ადგილი ერევნის 1975 წლის საერთაშორისო ტურნირში და სხვ. გამარჯვება ჰასტინგსში დაამშვენებს მის საჭადრაკო ბიოგრაფიას. ამ ტრადიციული ტურნირის შედეგების მიხედვით რომანიშინი საგრძნობლად აიმაღლებს ელოს კოეფიციენტს (ჯერჯერობით მისი კოეფიციენტია 2594). სხვათა შორის ამ მხრივ მას უსწრებენ მხოლოდ ა. კარპოვი (2698), ტ. პეტროსიანი (2647), ლ. პოლუგაევსკი (2635) და მ. ტალი (2615).

ჩემპიონი გამოვლინდა

რიგაში, ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო პირველობების ბოლოსწინა, VIII ტურში პირველი ჩემპიონი გამოვლინდა. ბაქოელმა ჰ. კასპაროვმა სძლია ლატვიის ჩემპიონ ზ. ლანკას და 7,5 ქულით ვადამდე მოიპოვა I ადგილი.

13 წლის კასპაროვი შარშანაც ჩემპიონი გახლდათ. იგი ჭადრაკის სიბრძნეს ეუფლება მ. ბოტვინიკის დაუსწრებელ სკოლაში, სადაც უკვე რამდენიმე წელია მეცადინეობს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა კასპაროვის შესახებ თქვა: ჭადრაკის მომავალი ასეთი ჭაბუკების ხელშიაო.

შულოცავენ სტოკჰოლმიდან

საახალწლო საერთაშორისო ტურნირის მასპინძლობა შვეციაშიც ტრადიციად იქცა. ამას წინათ სტოკჰოლმში დამთავრდა ერთი ასეთი შეჯიბრება, რომელშიც ევროპის ქვეყნების 50-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ორკვირიან ბრძოლაში გაიმარჯვა იტალიელმა დიდოსტატმა მარიოტიმ — 7,5 ქულა 9-დან. II-III ადგილები გაიყვეს ბულგარელმა დიდოსტატმა რადულოვმა და საერთაშორისო ოსტატმა ნიკოლსონმა (შვეცია) — 7-7.

ეს შედეგები შეგვატყობინა სტოკჰოლმში მცხოვრებმა ქართველმა მოჭადრაკემ, 23 წლის ოსტატმა კ. კაიშაურმა. ამ ტურნირში ისიც მონაწილეობდა და 6 ქულით XII ადგილზე აღმოჩნდა, რითაც, ცხადია, უკმაყოფილოა. კაიშაური წლეულს უნივერსიტეტს ამთავრებს. შეჯიბრებას ზამთრის სესიები დაემთხვა და ამიტომ ახალგაზრდა მოჭადრაკეს თამაში ხელი შეეშალა.

შვეციის გაზეთებმა დიდი ადგილი დაუთმეს ქალთა მსოფლიო პირველობის ამასწინანდელი საზონათშორისო ტურნირების შედეგებს. გახარებულმა ახალგაზრდა მოჭადრაკემ ასეთი ბარათი გამოუგზავნა მ. ჩიბურდანიძეს, რომელსაც გუშინ 16 წელი შეუსრულდა:

„ძვირფასო მაია! ვერც კი წარმოიდგენ, რაოდენ დიდი სიხარული და კმაყოფილება მომანიჭე საზონათშორისო ტურნირში შენი შესანიშნავი წარმატებით. ასე მგონია, ეს-ესაა დიდოსტატის წოდება მომენიჭა-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, შვედები ახლა განსაკუთრებულ პატივს მცემენ. გისურვებ მხოლოდ გამარჯვებებს პრეტენდენტთა მატჩებში. შენი ტალანტის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი კოტე კაიშაური. სტოკჰოლმი. 7.I. 1977 წ.“

ჩვენი თანამემამულე შვეციაში ერთ-ერთ მზარდ მოჭადრაკედაა აღიარებული. ამიტომ საინტერესო იქნება მისი მონაწილეობა ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სექტემბერში სოხუმში გაიმართება.

თ. გიორგაძე.

საკდესისა და საკუთარი კორესპონდენტები გვატყობინებენ...

ხელბურთი

● **ოსლო.** აქ მიმდინარეობს „პოლარული თასის“ გათამაშება ხელბურთელ ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის. პირველი შეხვედრა საბჭოთა ნაკრებმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან — იუგოსლაველებთან წააგო ანგარიშით 13:20. მეორე დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა გამარჯვება იზეიმეს ნორვეგიის ნაკრებთან — 17:9.

● **ბერლინი.** „ბალტიკის თასის“ ტრადიციულ გათამაშებაში პირველობა არავის დაუთმეს მასპინძლებმა — გდრ-ის ხელბურთელმა ვაჟებმა. მათ ფინალში დაამარცხეს საბჭოთა ნაკრები — 19:13. III ადგილი წილად ხვდათ პოლონელ სპორტსმენებს.

● **ვარშავა.** ბოლო მატჩი თავის ქვეჯგუფში საბჭოთა სტუდენტ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა წააგო იუგოსლაველებთან — 26:30. ახლა საბჭოთა გუნდი III ადგილისთვის იბრძოლებს.

თხილამურები

● **კლინგენტალის** (გდრ) XIX ტრადიციულ შეჯიბრებაში ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ფინეთის, ნორვეგიის, შვეციისა და მასპინძელთა გუნდები მონაწილეობდნენ. მოთხილამურე ქალთა ეს ასპარეზობა წლევანდელი ზამთრის სეზონის პირველი დიდი საერთაშორისო ტურნირი იყო.

პროგრამა ოლიმპიური გახლდათ: მონაწილენი ძალებს ცდიდნენ 5 და 10 კილომეტრზე რბენაში, 4×5 კილომეტრზე ესტაფეტაში. საბჭოთა ოლიმპიელები და მათი ცვლა კარგად გამოვიდნენ — ინდივიდუალურ რბოლებში ყველა საპრიზო ადგილი მათ ხვდათ წილად.

10 კილომეტრზე შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა ხუთივე პირველი ადგილი მოიგეს. გაიმარჯვა ზ. ამოსოვამ (33.51,74), რომელმაც გ. კულაკოვას ფინიშზე 5,39 წამით მიასწრო. ახალგაზრდა საერთაშორისო სპორტის ოსტატი რ. ხვოროვა III ადგილზე გავიდა — 34.10,06.

ამ სპორტსმენებმა ყველას აჯობეს 5 კილომეტრზე შეჯიბრებაშიც, ოღონდ ახლა ადგილები „გაცვალეს“: ფინიშთან პირველი მიიჭრა კულაკოვა — 17.04,23, II ადგილზეა ხვოროვა — 17.25,39, III — ამოსოვა — 17.30,59.

ესტაფეტაში მასპინძლებმა — გდრ-ის სპორტსმენებმა ყველა ეტაპზე შესანიშნავად ირბინეს და გაიმარჯვეს. საბჭოთა ნაკრები II ადგილს დასჯერდა.

კალათბურთი

● **შედგა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.**

მოსკოვი. ადგილობრივი დინამოელები კაუნასის „ჟალგირისს“ შეხვდნენ. სტუმართა ლიდერის ლინკიავიჩუსის ნეიტრალიზებამ მასპინძლებს საშუალება მისცა აქტიურად „დაებომბათ“ მეტოქის კალათი. მოსკოველებმა ტაიმი 6 ქულის სხვაობით მოიგეს — 44:38. შესვენების შემდეგ მათ შეინარჩუნეს უპირატესობა და გაიმარჯვეს — 95:87. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო გონჩაროვი — 29 ქულა. კაუნასელთაგან ამ მხრივ გამოირჩეოდა ჟუკაიტისი — 32.

ლენინგრადი. სსრ კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორებმა — ადგილობრივმა სპარტაკელებმა რევანში აიღეს I წრეში დამარცხებისთვის. ამჯერად მათ დიდი ანგარიშით მოუგეს ნიკოლაევის თანაკლუბელებს — 112:66.

● **8-11 იანვარს** წულუკიძეში ჩატარდა რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების ზონალური შეჯიბრება კალათბურთში.

3-7 იანვარს ასპარეზობდნენ ჭაბუკები. სარბიელზე გამოვიდნენ 16 რაიონის გუნდები. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში სამტრედიელებმა სძლიეს ორჯონიკიძის სპორტსმენებს, ხოლო მეორე ნახევარფინალში — მასპინძლებმა აჯობეს ზესტაფონელებს. ფინალში წულუკიძის წარმომადგენლებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს სამტრედიელები ანგარიშით 67:63 და შეჯიბრებაც მოიგეს. III საპრიზო ადგილზე გავიდნენ ზესტაფონელები. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკურ სპორტკომიტეტში განაცხადები გაგზავნილი ჰქონდათ, შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ზუგდიდისა და აბაშის რაიონების გუნდებს.

შემდეგ სტარტი აიღო გოგონათა შეჯიბრებამ. ასპარეზობაში ჩაება 10 გუნდი. სარბიელზე არ გამოსულან ზესტაფონისა და ცხაკაიას გუნდები. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა ძირითადად სამტრედიის, მახარაძის, საჩხერის, ორჯონიკიძისა და წულუკიძის გუნდებს შორის გაჩაღდა. ფინალურ შეხვედრაში, ისევე როგორც ჭაბუკთა გადამწყვეტ მატჩში, ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძლები და სამტრედიელები. გამარჯვება ამჯერად სამტრედიელებს ხვდათ. III საპრიზო ადგილზე გავიდნენ მახარაძელი კალათბურთელები.

წულუკიძის ჭაბუკთა და სამტრედიის გოგონათა გუნდები ითამაშებენ რესპუბლიკური ტურნირის ფინალში, რომელიც 1-10 თებერვალს ბათუმში მოეწყობა. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ რესპუბლიკური სპორტკომიტეტის დიპლომებით.

ტ. ჯაფარიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ნაკრების 8 გოლი

რომი, 16 იანვარი. იტალიაში სტუმრად მყოფ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების საწვრთნელ მატჩს ქ. პისტოიაში ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდთან დაესწრო 6 ათასი მაყურებელი.

საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 8:1. 3 ბურთი გაიტანა ბლოხინმა, 2 — ყიფიანმა და თითო — ბურიაკმა, მინაევმა და ონიშჩენკომ.

ფეხბურთი

Argentina'78

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის

●

ტურნე ლათინურ ამერიკაში

იუგოსლავიის ეროვნული ნაკრები გაემგზავრა ლათინურ ამერიკაში, სადაც ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს კოლუმბიის, მექსიკისა და გვატემალის ნაკრებ გუნდებთან. ეს იუგოსლაველთა სამზადისია მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშებისთვის.

ნაკრების ხელმძღვანელობამ ამჯერად არ უხმო ისეთ ცნობილ ფეხბურთელებს, როგორიც არიან ჯაიჩი, ობლაკი, პოპივოდა და კატალინსკი. ისინი ახლა თურქეთისა და გფრ-ის გუნდებში გამოდიან.

ფრანგების კალენდარი

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ეროვნული ნაკრების კალენდარი 1977 წლის პირველი ნახევრისთვის.

2 თებერვალს ფრანგები ბორდოში მიიღებენ რუმინეთის ნაკრებს, 23 თებერვალს პარიზში — მსოფლიო ჩემპიონს, გფრ-ის გუნდს, 30 მარტს დუბლინში ითამაშებენ მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩს ისლანდიელებთან და 24 აპრილს ჟენევაში შეხვდებიან შვეიცარიის ნაკრებს.

მინი-ფეხბურთის დეკადა

სპორტის მოყვარულებს საინტერესო სანახაობა მოელით: სტარტს იღებს ტრადიციად ქცეული საკავშირო ტურნირები მინი-ფეხბურთში.

20 იანვარს მოსკოვის ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დაიწყება პირველი მატჩები. აქ მოასპარეზე 8 გუნდი დაყოფილია 2 ჯგუფად. პირველი: „დინამო“, ცსკა, უნგრეთის II ნაკრები, „აკადემიკი“ (პოლონეთი); მეორე: „ტორპედო“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“, „პოლონია“ (პოლონეთი). ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი იბრძოლებენ „ნედელიას“ მთავარი პრიზისთვის, ხოლო მეორე ადგილებზე გასულნი გაითამაშებენ III ადგილს. ორივე ფინალური მატჩი შედგება 26 იანვარს.

კიევში შეიკრიბებიან უკრაინის გუნდები: ადგილობრივი „დინამო“, დონეცკის „შახტიორი“, ოდესის „ჩერნომორეცი“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ვოროშილოვგრადის „ზარია“ და ლვოვის „კარპატი“. აქ ბრძოლა იწარმოებს 27-30 იანვარს.

ლენინგრადის სპორტული თამაშების სასახლეში იასპარეზებენ ადგილობრივი „ზენიტი“ და „დინამო“, როსტოვის არმიელთა გუნდი და მინსკის „დინამო“. საინტერესოა, რომ ლენინგრადის ბაზაზე გამართულ შეჯიბრებას ვერ ვუწოდებთ მინი-ფეხბურთს, ვინაიდან აქაური საფეხბურთო მინდორი ნორმალური ზომისაა და გათამაშებაც დიდი ფეხბურთის წესებით იწარმოებს.

როგორც ვიტყობინებოდით, თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე გამოვლენ ადგილობრივი „დინამო“, ერევნის „არარატი“, ბაქოს „ნეფთჩი“ და ქუთაისის „ტორპედო“. აქ თამაშები გაიმართება 23-25 იანვარს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

პირველი წრის შედეგები

პირველი წრის შედეგების მიხედვით ინგლისში საუკეთესო მეკარედ მიიჩნიეს კლემენსი („ლივერპული“), მცველად — კლარკი („სანდერლენდი“), ნახევარმცველად — კერი („ლიდს იუნაიტედი“) და თავდამსხმელად — გრეი („ასტონ ვილა“).

უძლიერესია გრიგოროვი

ბულგარეთის ჟურნალ „სტარტის“ მიერ ჩატარებული ანკეტის მიხედვით 1976 წელს ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელად აღიარებულია სოფიის „სლავიის“ ცენტრალური თავდამსხმელი, 31 წლის ბ. გრიგოროვი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

77 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03043